პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 249 (5019)

1973 წ.
16 დეკემბერი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და კიევის „სტროიტელს" შორის.

• • •

სურათზე: დინამოელი ზ. საკანდელიძე მეტოქის კალათში ათავსებს ბურთს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

•

(მეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.).



1973 წლის სპორტის ვარსკვლავები

როგორც ცნობილია, დეკემბერში უცხოეთის ბევრი საინფორმაციო სააგენტო და ჟურნალ-გაზეთების რედაქციები წარმავალი წლის სპორტული სეზონის ვარსკვლავების დასადგენად ტრადიციულ ანკეტა-გამოკითხვას აწარმოებენ. ასეა ამჯერადაც და ერთობ სასიამოვნოა, რომ ამ გამოკითხვებში მთავარ გმირთა შორის საბჭოთა სპორტსმენებს ლიუდმილა ტურიშჩევას, ოლგა კორბუტს, ფაინა მელნიკს, ნადეჟდა ჩიჟოვას ვხვდებით.

საკმაოდ იშვიათად ხდება, რომ წელიწადის ვარსკვლავთა შორის ერთი სახეობის ორი წარმომადგენელი, თანაც, ერთი სახელმწიფოდან, მახოს კაცმა. ამჯერად სწორედ ასე მოხდა: ტურიშჩევა და კორბუტი. ამის მიზეზი სავსებით გასაგები უნდა იყოს. საქმე მარტო ის კი არ გახლავთ, რომ ტურიშჩევამ კონტინენტის ჩემპიონატში ხუთივე ოქროს მედალი მოიგო, ხოლო კორბუტი იქ მეორე იყო და უნივერსიადაში აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა. მთავარი ის გახლავთ, რომ ერთიცა და მეორეც მსოფლიო ტანვარჯიშის ლიდერია და „შეუცნობადი" ტანვარჯიშული სამყაროსკენ მიიკვლევს გზას.

ასე მოხდა მძლეოსნობაშიც: მელნიკი და ჩიჟოვა. ამ სახელოვან ქალებს არა ერთი და ორი შესწორება შეუტანიათ მსოფლიო რეკორდების ცხრილში ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში.

ანკეტების შემდგენელნი ასახელებენ სხვა ბრწყინვალე სპორტსმენებსაც. ესენი არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები კორნელია ენდერი და რენატა შტეჰერი, რომლებმაც ახალი სიჩქარეების ეპოქა გახსნეს ქალთა ცურვასა და რბენაში, სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენი დუაით სტოუნზი (აშშ), უიმბლდონის ჩემპიონი, ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელი იანოშ კოდეში, ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი იოჰან კრუიფი, კენიელი სტაიერი ბენ ჯიპჩო, მოცურავეები სტეფენ ჰოლანდი (ავსტრალია) და როლანდ მათესი (გდრ), მსოფლიო ჩემპიონი, ინგლისელი ავტომობილისტი ჯეკი სტიუარტი (ჯეკი, როგორც ჩანს, ვარსკვლავთა სიაში უკანასკნელად მოხვდა, ვინაიდან, ტრასაზე კიდევ ერთი თავისი ამხანაგის დაღუპვით თავზარდაცემულმა განაცხადა, რომ ამიერიდან აღარ იასპარეზებს).

თუ ტრადიციული ანკეტების უმრავლესობას სპორტული ჟურნალისტები ადგენენ, გაზეთ „იუნგე ველტის" (გდრ) მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მისმა ორ მილიონზე მეტმა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა. გდრ-ის 1973 წლის საუკეთესო სპორტსმენებად დასახელებული არიან ენდერი და მეექვსედ — მათესი.

რეკორდები

მოსკოვი, 14 დეკემბერი. საერთაშორისო საავიაციო ფედერაციამ (ფაი) დაამტკიცა საბჭოთა მფრინავების მიერ წლეულს დამყარებული შესანიშნავი რეკორდები.

სიმაღლეზე ფრენაში აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი ახლა 36240 მეტრს უდრის. ასეთ „ჭერს" 25 ივლისს მიაღწია დამსახურებულმა მფრინავმა-გამომცდელმა ა. ფედოტოვმა. უწინდელი რეკორდი — 34714 მ — 1961 წლიდან ეკუთვნოდა გ. მოსოლოვს.

რეაქტიულძრავიანი თვითმფრინავების სწრაფად ასვლის მსოფლიო რეკორდად დამტკიცებულია შედეგები: ბ. ორლოვისა — 20000 მ — 2.49,8 (ძველი რეკორდი — 2.58,5 — ამერიკელ ბრაუნს ეკუთვნოდა), სპორტის ოსტატ პ. ოსტაპენკოსი — 25000 მ — 3.12,6 (ძველ რეკორდს — 3.50,44 — ამერიკელი იუნგი ფლობდა), ოსტაპენკოსი — 30000 მ — 4.03,86 (უწინდელი რეკორდი — 6.11,43 — ამერიკელ ნორდბერგს ეკუთვნოდა).

ყველა ზემოაღნიშნული რეკორდი საბჭოთა მფრინავებმა დაამყარეს თვითმფრინავით ე-266.

• • •

აშხაბადი, 14 დეკემბერი. ადგილობრივმა სპორტის ოსტატმა, 14 წლის ვ. პარინოვმა 25-მეტრიან აუზში სსრ კავშირში პირველმა გაცურა 1500 მ 16 წუთზე სწრაფად. მისი შედეგი — 15.56,2 — 10,8 წამით სჯობს უწინდელ საკავშირო რეკორდს.

ამ მაღალ მაჩვენებელს პარინოვმა „ხაზმეტის" ჩემპიონატში მიაღწია.

რაიონებში [illegible]

ხობი

რაიონის მოსწავლე მძლეოსანთა პირველობამ 24 საშუალო და რვაწლიანი სკოლის 206 წარმომადგენელს მოუყარა თავი. მონაწილენი დაყოფილი იყვნენ სამ ასაკობრივ ჯგუფად. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა ქალადიდის საშუალო სკოლის ნაკრებმა (სკოლის დირექტორი შ. ფულისაშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. რამინაშვილი). სათანრიგო ნორმატივები შეასრულა 143, ხოლო მშდ კომპლექსის ნორმატივი — 168 მოსწავლემ.

ა. სანიკიძე,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

19 45

◆ **ბელგრადი**, 13 დეკემბერი. სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატში. ამ რანგის შეჯიბრების დებიუტანტმა III ადგილისთვის შეხვედრაში ანგარიშით 20:12 (11:5) სძლია უნგრეთის ეროვნულ გუნდს.

◆ **ნაირობი**, 15 დეკემბერი. რუსეთის ფედერაციის მოკრივეთა ნაკრებმა კენიის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გამართული ამხანაგური მატჩი მოუგო მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდს — 6:2.

◆ **შვედი**, 15 დეკემბერი. აქ გაიმართა შვეციისა და საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მეორე შეხვედრა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — საბჭოთა სპორტსმენებმა. მატჩის ანგარიშია 3:1.

WM 74

მექსიკა ვეღარ დაეწევა ჰაიტის

პორტ-ო-პრენსი, 15 დეკემბერი. ჰაიტის ფეხბურთელთა ნაკრებმა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზური მოიპოვა — 4 თამაშის შემდეგ 8 ქულა დააგროვა შესარჩევ ტურნირში.

ამ ჯგუფში არიან, აგრეთვე, მექსიკის, ტრინიდადისა და ტობაგოს, ჰონდურასის, გვატემალის, ანტილის კუნძულების ნაკრები გუნდები.

ჰაიტელთა მთავარი მეტოქე — მექსიკის ნაკრები მოულოდნელად დამარცხდა (0:4) ტრინიდადისა და ტობაგოს კოლექტივთან და უკვე ვეღარ დაეწევა ჰაიტის გუნდს.

ძალოსნებმა დაკვა დაიწყეს

ტუაფსე, 14 დეკემბერი. მეზღვაურთა კულტურის სასახლე ძალოსანთა საინტერესო ასპარეზობის ადგილად იქცა. აქ დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება და ცალკეულ მოძრაობებში ქვეყნის პირადი ჩემპიონატი.

შეჯიბრება, ცხადია, უმჩატესი წონის სპორტსმენებმა გახსნეს. ბრძოლაში ჩაება 11 ძალოსანი. ატაცმა ოქროს მედალი 30 წლის კუიბიშეველ გ. პეტროვს მოუტანა — 97,5 კგ. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ 20 წლის კემეროვოელი ა. ვორონინი (95 კგ) და ვოლგოგრადელი ა. ბერლიზოვი (ასევე 95 კგ).

აკვრაში ყველას აჯობა ვოროშილოვგრადის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ა. სენშინმა — 132,5 კგ. ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოები შესაბამისად ხვდათ პეტროვსა და ბერლიზოვს. მათ ერთნაირი შედეგი (127,5) ჰქონდათ.

თასს დაეუფლა პეტროვი, რომლის შედეგმა ორჭიდის ჯამში 225 კგ შეადგინა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ასეთივე მაჩვენებლით მან მეგობრული არმიების ჩემპიონატში (ჩეხოსლოვაკია) გაიმარჯვა, ოლიმპიური ჩემპიონი ზ. სმალცეჟი (პოლონეთი) ჩამოიტოვა.

დღეს გვიან საღამოს სსრ კავშირის კიდევ ორი ჩემპიონი გამოვლინდა ქვემსუბუქ წონით კატეგორიაში. ატაცში პირველი იყო რიგელი ვ. ანიკინი — 110 კგ. ვერცხლის მედალი მინსკელ რ. ბელენკოვს ხვდა (107,5), ხოლო ბრინჯაოსი — ხარკოველ ი. მოგილნერს (105).

ბელენკოვმა „შური იძია" და აკვრაში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავა. გამარჯვებულის შედეგია 140 კგ. ვერცხლის მედალი მოიგო ანიკინმა (137,5), ხოლო ბრინჯაოს ჯილდო ტიუმენის ოლქის წარმომადგენელმა ვ. კუზმინიხმა დაისაკუთრა — 132,5.

სსრ კავშირის თასის გათამაშებაში საუკეთესო იყო ბელენკოვი — 247,5. ანიკინმაც ასეთ შედეგს მიაღწია, მაგრამ მეტოქეზე მძიმე აღმოჩნდა. III ადგილზე გავიდა მოგილნერი — 232,5.



მიიღე ჯილდო, პრიზიორო!

ამ ჟეტონით 1974 წლიდან დააჯილდოებენ სპორტსმენებს, რომლებიც „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობებსა და სპარტაკიადებში საპრიზო ადგილებზე გავლენ.

ჟეტონები დაამზადა მოსკოვის სპორტული ნიშნებისა და სუვენირების ექსპერიმენტულმა ქარხანამ. ესკიზების ავტორია „განთიადის" ცენტრალური საბჭოს აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ბ. კოვალიოვი.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

საქართველოს კომუნისტური პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ფ. სანაკოევის თავმჯდომარეობით ცხინვალში გაიმართა სამხრეთ ოსეთის საზაფხულო სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა.

სპარტაკიადისთვის მზადების შესახებ სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდნენ სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ა. თედეევი, ცხინვალის რაიაღმასკომის თავმჯდომარე გ. ზესაევი, დოსაამის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ხ. ბასაევი, ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი ლ. ვალიევი, განათლების საოლქო განყოფილების გამგე გ. ძაგიევი, პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე შ. ტრანკაშვილი, ცხინვალის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. კულუმბეგოვი, „განთიადის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ფ. მარგიევი, ახალგაზრდული სპორტული სკოლის დირექტორი ლ. ნანიევი, ჭაბუკ მოკრივეთა სკოლის დირექტორი დ. დადიანი, საოლქო საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილე მ. ლოხოვა, მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ყ. მარგიევი და საოლქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ზ. ცხოვრებოვი.

სხდომამ დაამტკიცა საორგანიზაციო კომიტეტის 1974 წლის სამუშაო გეგმა.

მ. ველკოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

ფიზკულტურის კოლექტივებში

მთავარი გეგმა — ჯანმრთელობა

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი ფიზკულტურული კომპლექსის მასობრივად დანერგვა სამტრედიის რაიონში ერთ-ერთმა პირველებმა სოფელ ღანირის ელიტური მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა დაიწყეს. მეურნეობის ფიზკულტურულმა კოლექტივმა იმთავითვე გარდაქმნა მუშაობა კომპლექსის დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნის მოპოვება ღანირელებისთვის თვითმიზანი როდია. მასობრივი სპორტული მუშაობის უნარიანად წარმართვით წინა წლებთან შედარებით ორჯერ მეტი მუშა-მოსამსახურე ჩაება ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობის ფერხულში. ისინი, ვინც უკვე კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა, სპორტულ სექციებსა და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში განაგრძობენ მეცადინეობას. ამიტომაც წლეულს დიდი გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა-ვალდებულებები.

ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს მზრუნველობას არ აკლებს მეურნეობის ხელმძღვანელობა. აქ სამართლიანად მიაჩნიათ, რომ მთავარი გეგმა ადამიანის ჯანმრთელობაა, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული შრომითს წარმატებებთან. ბევრ ახალგაზრდას სწორედ კარგად წარმართული ფიზკულტურული მუშაობა იზიდავს სოფლის მშრომელთა კოლექტივში. მაგალითად, თ. ჩხაიძე ჭაბუკი იყო, თანასოფლელებმა ფეხბურთელთა გუნდში რომ ჩარიცხეს. იმ დღიდან თემური შრომაშიც გვერდში უდგას თანასოფლელებს. სავალდებულო სამხედრო სამსახური მოათავა თუ არა, უმალვე მეურნეობაში დაიწყო საქმიანობა და ფეხბურთის სექციასაც უძღვება. ამ ახალგაზრდამ მშდ კომპლექსი ერთ-ერთმა პირველმა ჩააბარა ოქროს ნიშანზე.

მეურნეობის სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა ჯგუფს თამამად შეიძლება ჯანმრთელობის ბრიგადა ეწოდოს. აქ ყველა ასაკისა და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს ერთი მიზანი — ფიზკულტურისა და სპორტის სიყვარული აერთიანებთ. აქაურ ფიზკულტურელთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ბაზები, რომელსაც ახლო მომავალში დარბაზი და ტირიც შეემატება.

მშდ კომპლექსის მასობრივად ჩაბარების არაერთი სანიმუშო ღონისძიება ჩაუტარებიათ ღანირელებს. აქ ტრადიციად იქცა ასეთ ღონისძიებებზე რაიონის კომკავშირული, ფიზკულტურული და დოსააფის კომიტეტების ხელმძღვანელთა მიწვევა, ვეტერანი ნიშნოსნებისა და სპორტსმენების მონაწილეობით მშდ სამკერდე ნიშნების საზეიმოდ გადაცემა.

თ. ბაჩიჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ღანირი,
სამტრედიის რაიონი.


ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

სურათებზე: ზევით — ცოტაც, და მშდ კომისია ოქროს სამკერდე ნიშანზე შეაფასებს შოფერ ა. შენგელიას შედეგს ხელყუმბარის ტყორცნაში; ქვევით — „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ჯ. ვაშაკიძე სამკერდე ნიშანს აბნევს სოფლის პირველ ნიშნოსანს, მეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტს ა. ბარამიძეს.

რ. ბექაიას ფოტოები.

საქართველოს რეკორდები

ცურვა

1973 წლის
16 დეკემბრისთვის

50-მეტრიანი აუზებისთვის

დისტანცია	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
		ქალიშვილები	
თავისუფალი სტილი			
50 მ	28,8	ლ. სუინა (გაგრა, „განთიადი“)	1972
100 მ	1.04,3	ლ. სუინა (გაგრა, „განთიადი“)	1972
200 მ	2.22,3	ლ. სუინა (გაგრა, „განთიადი“)	1972
400 მ	5.07,9	ლ. სუინა (გაგრა, „განთიადი“)	1972
800 მ	10.30,6	ი. პოტაპოვა (თბილისი, გან. განყ.)	1973
1500 მ	22.05,0	ნ. ბახტაძე (თბილისი, „დინამო“)	1973
ესტაფეტა			
4×100 მ	4.28,4	საქართველოს ნაკრები (ნ. გელაძე, ი. ნოვოსელოვა, ი. მარლიშვილი, ლ. სუინა)	1973
ბრასი			
50 მ	37,7	ლ. მარღანია (სოხუმი, „დინამო“)	1968
100 მ	1.21,9	მ. კირდიანოვა (თბილისი, „დინამო“)	1971
200 მ	2.52,0	მ. კირდიანოვა (თბილისი, „დინამო“)	1971
ბულალში			
50 მ	32,2	თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო“)	1968
100 მ	1.07,8	თ. ლეკვეიშვილი (თბ. „დინამო“)	1970
200 მ	2.27,1	თ. ლეკვეიშვილი (თბ. „დინამო“)	1970
ბატერფლაი			
50 მ	35,2	ვ. პროსკურინა (თბ., „განთიადი“)	1971
100 მ	1.11,1	მ. გორბუნოვა (ბათუმი, „სპარტაკი“)	1970
200 მ	2.41,0	ვ. პროსკურინა (თბ., „განთიადი“)	1973
კომპლექსური			
200 მ	2.39,6	ლ. სუინა (გაგრა, „განთიადი“)	1973
400 მ	5.48,0	ლ. სუინა (გაგრა, „განთიადი“)	1973
კომბინირებული ესტაფეტა			
4×100 მ	4.53,2	საქართველოს ნაკრები (შ. გოზალიანი, ნ. გამჯიაშვილი, ვ. პროსკურინა, ლ. სუინა)	1973
		ჭაბუკები	
თავისუფალი სტილი			
50 მ	25,9	ი. ტიშკინი (თბილისი, „დინამო“)	1971
100 მ	56,9	ვ. გონჩაროვი (თბილისი, „დინამო“)	1971
200 მ	2.03,7	ა. ბავინი (გაგრა, „განთიადი“)	1972
400 მ	4.23,3	ა. ბავინი (გაგრა, „განთიადი“)	1972
800 მ	9.16,0	ვ. მაკაროვი (თბილისი, „დინამო“)	1972
1500 მ	17.25,1	ა. იორდანიშვილი (თბ., „შრ. რეზ.“)	1972
ესტაფეტა			
4×100 მ	3.55,8	საქართველოს ნაკრები (გ. გოდერძიშვილი, ს. მაკაროვი, ა. ვეჩხაიზერი, ა. ბავინი)	1973
4×200 მ	8.29,5	საქართველოს ნაკრები (ს. მაკაროვი, ა. ვეჩხაიზერი, გ. გოდერძიშვილი, ა. ბავინი)	1973
ბრასი			
50 მ	33,3	ი. კირდიანოვი (თბილისი, „დინამო“)	1967
100 მ	1.10,3	ა. იევლევი (თბილისი, „დინამო“)	1967
200 მ	2.32,5	ა. იევლევი (თბილისი, „დინამო“)	1971
ბულალში			
50 მ	30,6	ვ. კრასკო (ბათუმი, „დინამო“)	1971
100 მ	1.01,5	ვ. კრასკო (ბათუმი, „დინამო“)	1970
200 მ	2.11,8	ვ. კრასკო (ბათუმი, „დინამო“)	1973
ბატერფლაი			
50 მ	29,0	ა. ბუკაშკინი (ბათუმი, „განთიადი“)	1971
100 მ	1.01,5	ა. ბუკაშკინი (ბათუმი, „განთიადი“)	197
200 მ	2.16,3	ვ. გოდერძიშვილი (თბ., „განთიადი“)	1973
კომპლექსური			
200 მ	2.20,4	ვ. სტეფანცევი (ბათუმი, „განთიადი“)	1973
400 მ	4.57,3	ვ. სტეფანცევი (ბათუმი, „განთიადი“)	1973
კომბინირებული ესტაფეტა			
4×100 მ	4.21,3	საქართველოს ნაკრები (ნ. ბაშარული, დ. ელიზბარაშვილი, ი. მესხიშვილი, ა. ბავინი)	1973

„ლელოს“ წერილების კვალდაკვალ

„სპორტის დედოფალი“ ჩიხიდან უნდა გამოვიყვანოთ“

ჩვენი გაზეთის 31 ოქტომბრის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი რესპუბლიკაში მძლეოსნობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. წერილში აფხაზეთის ორგანიზაციებიც იყო გაკრიტიკებული.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა „ლელოს“ ფურცლებზე აღნიშნული ფაქტების შესწავლა დაავალა სპეციალურ კომისიას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის აფხაზეთის ფილიალის უფროსი ა. მურკესი, სოხუმის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე რ ბჟალავა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის განყოფილების უფროსი ვ. ხუბულავა.

კომისია ყველა შენიშვნას იზიარებს. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის სპორტკომიტეტს სათანადო ღონისძიება დაუსახავს. აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ჰ. ბუშაჰი გვატყობინებს, რომ კომიტეტის კოლეგიამ მძლეოსნობაში მდგომარეობის საფუძვლიანად გაუმჯობესების მიზნით შექმნა ერთიანი საუწყებათშორისო ცენტრი, რომლის ხელმძღვანელობაც „დინამოს“ დაევალა, სავარჯიშოდ გამოიყო ბაზები, გაერთიანდა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ძალები დაინერგა მწვრთნელთა სპეციალიზაცია, შემოღებულია ერთიანი მეთოდური ხელმძღვანელობა, მუშავდება მაღალთანრიგოსანთა მომზადების პერსპექტიული გეგმა.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მაგრამ გვაოცებს, რომ იმავე კომისიის წევრები ხელს აფარებენ სოხუმის ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორ ვ. ავიძბას.

„ლელოს“ 31 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის მერე რედაქციას აღარ სურდა ავიძბას საკითხს დაბრუნებოდა, მაგრამ ახლა იძულებულია მის დამცველებს მოაგონოს, რომ 1972 წლის 3 ივლისს, თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოსწავლე მძლეოსანთა რესპუბლიკური ჩემპიონატის დროს ავიძბამ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების, აღმზრდელების, მწვრთნელების, მსაჯების თვალწინ აშკარა ხულიგნობა ჩაიდინა, რის გამოც მისივე კოლეგა და მსაჯი დაშავდა. მაშინ ავიძბა მილიციას სტადიონიდან გაქცევით გადაურჩა. მართალია, აფხაზეთის განათლების სამინისტროს, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს ავიძბას ეს საქციელი უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ, მაგრამ სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით მისთვის მეტისმეტად ლმობიერი სასჯელი იყო. განა იმ ფაქტის მერე ავიძბას სპორტსკოლის დირექტორად დატოვება შეიძლებოდა?!

ავიძბას ხულიგნობაში ბრალს სდებდა რედაქციაში სოხუმიდან შემოსული წერილიც: ვ. აკუცია გვწერდა, ავიძბამ ლესელიძეში ერთ-ერთი საწვრთნელი მეცადინეობის დროს ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენაო.

აფხაზეთის სპორტკომიტეტის მიერ გამოყოფილი კომისიის წევრებს მურკესს, ბჟალავასა და ხუბულავას ლესელიძეში მომხდარი ინციდენტიც „შეუსწავლიათ“ და ავიძბას გასასამართლებლად საკმარისი ჯაფაც გაუწევიათ, რასაც აფხაზეთის სპორტკომიტეტში მათ მიერ წარდგენილი მასალები ადასტურებს. ამ გამოკვლევას თუ დავუჯერებთ, მაშინ დამნაშავე ავიძბა კი არა, სწორედ აკუცია ყოფილა, მაგრამ კომიტეტში წარდგენილი სწორედ იგივე მასალები გვაფიქრებინებს, რომ კომისიას საქმე გულმოდგინედ როდი შეუსწავლია.

ინციდენტი 1973 წლის 29 მაისს მოხდა. ამ ინციდენტის თაობაზე ჩვენს ხელთ არსებული 11 დოკუმენტი ჩხუბის მიზეზთა ცალმხრივ შესწავლაზე კომისიის წევრთა უგულისყურობაზე მეტყველებს. მძლეოსნობაში აფხაზეთის ახალგაზრდული ნაკრების სასწავლო-საწვრთნელი შეკრების (რომელიც ლესელიძეში მოეწყო) უფროსის ი. წულუკიძის 1973 წლის 29 მაისის № 1 ბრძანებაში გარკვევით წერია: „სასწავლო-საწვრთნელი რეჟიმის დარღვევის, მწვრთნელებისა და სპორტსმენების თანდასწრებით მწვრთნელის (რომელი მწვრთნელის? — რედ.) უცენზურო სიტყვებით შეურაცხყოფისთვის, მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, აფხაზეთის მძლეოსანთა ნაკრების წევრთა შეკრებიდან გაირიცხოს ვ. აკუცია. ეს გადაწყვეტილება ეცნობოს სამუშაო ადგილს“ (ვის სამუშაო ადგილს? — რედ.).

თითქოს სადავო არაფერია. შეკრების ხელმძღვანელობას ერთობ ენერგიული, სასწრაფო ღონისძიება გაუტარებია. მაგრამ ეჭვს იწვევს შეკრების მონაწილეების ტ. კონონოვას, მ. აგრბას, მ. რიაბოვას, დ. არღუნის, ტ. მიშინას, ლ. ხოროშკოს, მ. ბახტაძის, თ. ხუბუტიას, რ. იუნუსბას, კ. შამბას მიერ შეკრების უფროსის სახელზე 6 ივნისს დაწერილი განმარტებითი ბარათები. როგორ მოხდა, რომ აკუციას გუნდიდან გარიცხვის შესახებ ბრძანება 29 მაისს დაიწერა, ხოლო მოწმეთა ჩვენებანი — ერთი კვირის შემდეგ, ერთსა და იმავე დღეს, 6 ივნისს?! ეს ჩვენებანი ვიღას სჭირდებოდა, როცა განაჩენი გამოტანილი იყო? ამ ფაქტმა რატომ არ დააფიქრა პატივცემული კომისიის წევრები?

ჩვენ სულაც არ გვინდა ვ. აკუციას გამართლება და არც ის გვსურს, ავიძბა უდანაშაულოდ დაისაჯოს, მაგრამ საქმე ისე უნდა შედგეს, რომ, როგორც იტყვიან, წყალი არ გაუვიდეს. ობიექტურობას არაფერი სჯობს.

გულმოდგინედ ემზადებიან

უკვე კარგა ხანია, რაც რაიონში პირველობას არავის უთმობს კახის ლენინის სახელობის ქართული საშუალო სკოლის ფრენბურთელ გოგონათა ნაკრები. ეს მეგობრული კოლექტივი არა მარტო ჩვენს რაიონში, არამედ მთელს რესპუბლიკაშია ცნობილი კარგი თამაშით. გუნდის ბევრი წევრი კახის რაიონის ნაკრებშია.

იანვარში დაიწყება აზერბაიჯანის მოსწავლეთა XXIX სპარტაკიადის ფინალი. სპარტაკიადისთვის მზადება კახშიც მიმდინარეობს.

ამ დღეებში ვეწვიეთ კახის სპორტსკოლას. იქ ახალგაზრდა სპეციალისტ მ. გამხარაშვილის ხელმძღვანელობით 73 ნორჩი ფეხბურთელი მეცადინეობს.

ფეხბურთელები კვირაში ოთხჯერ ვარჯიშობენ. ნორჩებს ამაში თავისებურ დახმარებას უწევს საინგილოს ნახევრად სუბტროპიკული ბუნებაც — აქაური მზიანი ხმინდი და, რა თქმა უნდა, კახის ქართული საშუალო სკოლის შესანიშნავი სპორტდარბაზიც.

ვ. ოქროჯანაშვილი.
(ჩვენი კორ.).

კახი,
აზერბაიჯანის სსრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი

სიუჟეტი უკონფლიქტო და სიუჟეტი შემოქმედებითი

თბილისი. სპორტის სასახლე. 14 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი) 82:80 (32:48).

„დინამო“: საკანდელიძე, (17), პულავსკი (17), მ. ქორქია (15), ჩიხლაძე (12), ნარიმანიძე (9), ბოლქვაძე (8), ჩხიკვაძე (2), ბიჭიაშვილი (2), ჯგერენაია.

„სტროიტელი“: პოგულიაი (22), სმოლიაკოვი (12), ს. კოვალენკო (12), მარტინოვი (10), სალნიკოვი (9), ზემლიანუხინი (6), ტკაჩენკო (6), ზდრაკი (3).

მსაჯები გ. მუხამეძიანოვი (ყაზანი), მ. ბელიაევი (დონის როსტოვი).

დუბლიორები—75:64 (34:30).

სიუჟეტად შეიძლება ყველაფერი გამოდგეს, თქვენ წარმოიდგინეთ, თევზის საოცრად პროზაული ჩონჩხიც კი. ოღონდ მთავარია, რას მივიჩნევთ სიუჟეტის თემად და როგორ ემოციურ ხორცშესხმას მიიღებს იგი შემოქმედების პროცესში.

სპორტული ბრძოლის უკონფლიქტო სიუჟეტი მუდამ ღარიბია და ამიტომაც — ატიპიური. ამ მხრივ იგი მართლაც თევზის ჩონჩხს წააგავს. და ვინაიდან ეს ასეა, ამიტომ არც ორი მოქიშპე გუნდის „მშრალი“ ურთიერთობა ნიშნავს შემოქმედებას და არც მარტოდ-მარტო სარბიელი — ბრძოლას.

ეს კონკრეტული სიუჟეტიც თავიდანვე მონოტონურად განვითარდა და ამიტომაც შორს იდგა ნამდვილი შემოქმედებითი ბრძოლისგან. იყო ორი გუნდი: „სტროიტელი“ და „დინამო“. ერთი აშკარად ძლიერი და შთაგონებული ჩანდა, მეორე — პროზაული, ბედს შერიგებული და ოდნავ დამბლადაცემული.

მაგრამ უკონფლიქტო სიუჟეტსაც, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, აქვს თავისი შინაგანი ლოგიკა. მით უმეტეს, როცა ერთი გუნდი აშკარად მოწოდების სიმაღლეზეა, მეორე კი — არა. ეს მარტივი ლოგიკაა, რომელმაც „სტროიტელს“ მატჩის სადებიუტო ნაწილში რეალური უპირატესობა მოუტანა და რომლის ხარჯზეც თბილისის „დინამოს“ გუშინწინდელმა მეტოქემ თითქმის ტაიმ-ნახევარი გაატარა. გონივრული დაცვა, მარტივი, მაგრამ ზუსტად გამოხატული შეტევა და ყოველივე ამის ეფექტური დაგვირგვინება — აი, ძირითადი სქემა, რომელსაც, ერთი შეხედვით, თითქოს უნდა გადაეწყვიტა კიდეც მატჩის ბედი უკრაინელთა სასარგებლოდ.

სიუჟეტის ეს ნაწილი აშკარად ერთფეროვნულად ვითარდებოდა და „დინამომ“ მას ვერაფერი რეალური დაუპირისპირა. კოვალენკომ თითქოს გააკეთა თავისი საქმე: საიმედოდ „აიყვანა“ კედელი თავისი კალათის მისადგომებთან და ფაქტიურად მიუწვდომელი გახადა იგი ბოლქვაძისა და პულავსკისთვის, მერე კი მთელი ძალით ათამაშდა მეტოქის ფარქვეშ.

რაღაც საგანგებოდ იყო ამ დღეს შთაგონებული პოგულიაიც, რომელმაც აშკარად დაჩრდილა სალნიკოვი მის მთავარ ამპლუაში — ტყორცნაში. „სტროიტელი“ ამ გარემოებას მაინცდამაინც არ განიცდიდა, ვინაიდან მისთვის სულ ერთი იყო, ვინ შექმნიდა ამინდს — პოგულიაი თუ სალნიკოვი.

„სტორიტელმა“ ტაიმი 16 ქულით მოიგო, მეორე ნახევარში კი 19-ქულიან უპირატესობას მიაღწია.

მაგრამ დრო, რომელიც ულმობლად ითვლიდა ყოველ წამსა და წუთს, ამ შემთხვევაში უკრაინელთა მტერი გამოდგა. მაგრამ ამას „სტროიტელი“ მოგვიანებით მიხვდება. ახლა კი, როცა სხვაობა აგრერიგად გაიზარდა, თამაშს ბედი ყველას გადაწყვეტილად მოეჩვენა...

ყველას, დინამოელთა გარდა! ამბობენ, ოფლის მარაგი ყველა მოთამაშეს ერთნაირი აქვს, მაგრამ ვინც მეტ ოფლს დაღვრის, უფრო ახლოს მივა სასურველ მიზანთანაო. „სტროიტელის“ მოწმენდილ ცაზე ნელ-ნელა შავი ღრუბლები შეჯგუფდა. მაგრამ, როგორც დენთი ჯერ კიდევ არ ნიშნავს აფეთქებას, ისე შავი ღრუბლები ჯერ კიდევ არ იყო კატასტროფის მაუწყებელი. თბილისელები ელოდნენ თავიანთი ლიდერის ნიშანს, რათა კიდევ ერთხელ და საბოლოოდ შესჭიდებოდნენ ფორტუნას.

და როგორც მუდამ, ამჯერადაც წინა პლანზე გამოვიდა საკანდელიძე. უკონფლიქტო სიუჟეტში უეცრად შემოდის გმირი, რომელიც ხელთ იღებს ბრძოლის სადავეს. საკანდელიძე, რა თქმა უნდა, არ არის სასწაულმოქმედი. სამაგიეროდ, მას აქვს სასწაულებრივი უნარი დარაზმოს და გაიყოლოს გუნდი. ის, რაც დროის ამ მცირე მონაკვეთში მოხდა, სცილდება რეალურობის ფარგლებს და ფანტასტიკაში იკარგება. დიახ, ფანტასტიკაში, ვინაიდან სხვაგვარად წარმოუდგენელია, როგორ უნდა დაკარგოს ერთმა გუნდმა მთელი თამაში, ძალა, რწმენა და როგორ უნდა დაჰყვეს მთლიანად თავისი მეტოქის ნებასურვილს.

მე ბევრჯერ მინახავს საკანდელიძე სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გაჭირვების ჟამს იგი მუდამ გუნდის სული და გული იყო, მისგან გადაჭრით არასდროს მოითხოვდნენ ქულებს... საკანდელიძე მოედანზე უნდა ყოფილიყო როგორც წარმატების საბოლოო რწმენა, როგორც გუნდის იმედი. ეს როლი აქვს დაკისრებული საკანდელიძეს „დინამოშიც“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მისი ყოფნა თვალსაჩინოდ მოქმედებს ანგარიშზეც.

...დრაკონის კანონები ძალაში შევიდა მატჩის ბოლო წუთებზე. მაგრამ ამ დახლართულ სიუჟეტში დრო უკვე „დინამოს“ წისქვილზე ასხამდა წყალს. იყო რაღაც დიდებული, დაუმორჩილებელი იმ მიზანსწრაფვაში, რომელმაც ერთ სურვილად აქცია ბრძოლის ველი და მისი გამგებელი „დინამო“.

გამარჯვებულთა გვარების ჩამოთვლა, მათი გამოყოფა მუდამ შეიძლება. მართალი გითხრათ, ამჯერად ეს არაა საჭირო, ვინაიდან უსათუოდ გააფერმკრთალებს შთაბეჭდილებას. იყო ერთიანი სურვილი, იყო თავგანწირვა, დაუოკებელი მონდომება. იყო, რა თქმა უნდა, გამარჯვებისთვის საჭირო ბევრი სხვა კომპონენტიც, მაგრამ ეს კომპონენტები თბილისის დინამოელებს არასდროს ჰკლებიათ.

30 წუთი კალათბურთში მთელი საუკუნეა, 10 წუთი კი მისი ერთი მონაკვეთი, მესამედი. რა თქმა უნდა. ასეთი 10 წუთით ცხოვრება მთელს მატჩში შეუძლებელია, მაგრამ ხომ შეუძლებელი იყო ისიც, რისი მოწმეც გავხდით იმ დღეს სპორტის სასახლეში?

ნ. გუგუშვილი.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ი. ნარიმანიძე და ვ. მარტინოვი ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდის შემდეგ წაიქცნენ. მარცხნიდან (დგანან): ს. კოვალენკო, მატჩის არბიტრი გ. მუხამეძიანოვი, ნ. პოგულიაი და ა. ზემლიანუხინი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

• • •

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	9	8	1	843—714	8
„სპარტაკი“	9	8	1	667—574	8
„კალევი“	9	7	2	713—623	7
„სტროიტელი“	9	4	5	707—706	4
„დინამო“ (მ.)	9	4	5	713—726	4
„დინამო“ (თბ.)	10	4	6	779—795	4
ასკ (კიევი)	9	3	6	665—727	3
ასკ (რიგა)	8	3	5	609—666	3
რტი	9	3	6	655—753	3
„ჟალგირისი“	9	1	8	647—714	1

უყურადღებოდ მიტოვებული გუნდი

ცხაკაიას „ეგრისის“ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი გ. ოდიშარია) საქართველოს ჩემპიონატში 1958 წლიდან თამაშობს. კარგა ხანს „ეგრისი“ რესპუბლიკაში ერთ-ერთ მოწინავე, მებრძოლ კოლექტივად ითვლებოდა, საპრიზო ადგილებსაც იკავებდა, სამი წლის უკან კი საქართველოს თასის მფლობელიც იყო.

მაგრამ ბოლო დროს გუნდში შესუსტდა აღმზრდელობითი მუშაობა, გაჩნდა ბზარი, თავი იჩინა უდისციპლინობამ, რეჟიმის დარღვევამ, საწვრთნელი მეცადინეობების გაცდენამ და ჩაშლამაც კი. როგორც გუნდის ხელმძღვანელებმა, ისე ფეხბურთელებმაც ხელი ჩაიქნიეს და კოლექტივმა დაკარგა უწინდელი ბრძოლისუნარიანობა. ამიტომ იყო, რომ შარშან ეგრისელებმა კალენდარული თამაშები უღიმღამოდ ჩაატარეს და გათამაშებაში მხოლოდ XV ადგილით დაკმაყოფილდნენ. ასე იყო წლეულსაც. „ეგრისი“ ცუდად თამაშობდა, როგორც შინ, ისე სტუმრად აგებდა და საბოლოოდ ისევ XV ადგილზე დარჩა.

ფეხბურთი თამაშია და თამაშში ძლიერი უგებს სუსტს. ეს ძველი საფეხბურთო კანონია, მაგრამ, როცა გუნდის ყველა მოთამაშე სისტემატურად უმოქმედობს, ოდნავადაც არ ზრუნავს თავისი კლასის ამაღლებაზე, ეს უკვე საგანგაშოა.

რაშია საქმე, რატომ გამოიყურება ასე სუსტად „ეგრისი“? ამაზე პასუხის გაცემა ძნელი არაა. გუნდში დამკვიდრდა მავნე პრაქტიკა, ასე ვთქვათ „ნასესხები“ ფეხბურთელების ჩამოყვანა სხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან. ვინ არიან ისინი? მეკარე გაბუნია, ძმები დარასელიები (ზუგდიდიდან), კვიტაიშვილი და ნიკოლაიშვილი (ლანჩხუთიდან), ოდიშარია და რუხაია აფხაზეთიდან, ზონინი რსფსრ-დან. ნიკოლაიშვილსა და ზონინს თამაშში ვერ დავემდურებით, სხვების მიმართ კი სასაყვედურო ბევრი გვაქვს. რუხაიამ, ოდიშარიამ და კვიტაიშვილმა დატოვეს გუნდი და შარშან თავის რაიონებს დაუბრუნდნენ.

სხვა რაიონებიდან მოთამაშეების ჩამოყვანა, ისიც სუსტი ფეხბურთელებისა ზიანის მეტს არაფერს მოუტანს ცხაკაიას გუნდს.

ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციები, თვით „ეგრისის“ ხელმძღვანელობა არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ადგილობრივი კადრების აღზრდასა და დაწინაურებას. ამ მხრივ სცოდავენ რაიონის საწარმო-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და სკოლების ფიზკულტურული კოლექტივებიც.

გუნდში ბევრია ახაკოვანი ფეხბურთელი, რომლებიც ერთ დროს კარგად თამაშობდნენ, ახლა კი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენენ მეტოქეთათვის. ისინი გზას უღობავენ კოლექტივში ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელების დაწინაურებას.

„ეგრისი“ რამდენიმე წელია განიცდის მეკარის კრიზისს. მეკარე ვ. გაბუნიას სუსტი თამაშის შედეგია ბევრი წაგებული მატჩი.

ასევე სავალალო მდგომარეობაშია თავდასხმა და ნახევარდაცვა, მათ არ ჰყავთ ორგანიზატორი.

განა ცხაკაიაში არ არიან პერსპექტიული ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ უკვე ხანდაზმული, ფორმიდან გამოსული ფეხბურთელები? რა თქმა უნდა, არიან, მაგრამ ისინი კოლექტივის მიღმა რჩებიან. გარდა სპორტსკოლისა და ხალიჩების კომბინატისა, სხვა ორგანიზაციებში გუნდები ფორმალურად, მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. სად უნდა ივარჯიშონ სკოლადამთავრებულმა პერსპექტიულმა მოთამაშეებმა, როცა „ეგრისთან“ ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღსაზრდელი ჯგუფი არ არსებობს. განა არ შეიძლება შეიქმნას ახალგაზრდა ფეხბურთელთა მოსამზადებელი ჯგუფი, რომელსაც უხელმძღვანელებდნენ მწვრთნელები და გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებიც „ეგრისისთვის“ აღზრდიდნენ ღირსეულ შემცვლელებს?!.

რაიონში არავინ ზრუნავს ადგილობრივი ნიჭიერი ფეხბურთელების გამოვლენა-აღზრდისთვის. ამას თავდადებული, მუყაითი შრომა უნდა, ცხაკაიაში კი საამისოდ თავს არავინ იწუხებს. ეს პირველ ყოვლისა სპეციალისტების, მწვრთნელებისა და ფიზკულტურის მასწავლებლების ღვიძლი საქმეა. ფიზაღზრდის მასწავლებლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ საიმედო ფეხბურთელის ჩამოყალიბება უმთავრესად სკოლაში იწყება.

რესპუბლიკაში ოდესღაც ერთ-ერთი მოწინავე კოლექტივი „ეგრისი“ ამჟამად კრიზისულ მდგომარეობაშია და თუ ასე გაგრძელდა, გუნდი შეიძლება ქვემო ჯგუფში გადასვლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდეს.

ამ საგანგაშო მდგომარეობას, როგორც ჩანს, არად აგდებს რაიონის ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც ერთხელაც არ უმსჯელია გუნდში გამეფებული უდისციპლინობის აღსაკვეთად საჭირო ღონისძიებებზე. კიდევ მეტიც: ფედერაციის თავმჯდომარე ო. ჭკადუა მატჩებსაც კი არ ესწრება და წარმოდგენა არა აქვს რა ხდება გუნდში.

„ეგრისში“ საჭიროა განხორციელდეს რადიკალური ღონისძიებები, მკვეთრად გაუმჯობესდეს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა. აუცილებელია ყოველდღიური ზრუნვა დისციპლინის განსამტკიცებლად, აღმზრდელობითი მუშაობის ასამაღლებლად.

ბ. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

ქალაქები და პრიზები

◆ 1936 წლიდან მოყოლებული სსრ კავშირის ჩემპიონატი 35-ჯერ გათამაშდა. ჩემპიონის წოდება მოპოვებული აქვს 8 გუნდს: მოსკოვის „დინამოს“, „სპარტაკს“, „ტორპედოს“, ცსკა-ს, კიევის „დინამოს“, თბილისის „დინამოს“, ვოროშილოვგრადის „ზარიას“ და ერევნის „არარატს“.

◆ **მოსკოვი** 27-ჯერ იყო ჩემპიონი, კიევი — 5-ჯერ, თბილისი, ვოროშილოვგრადი და ერევანი — თითოჯერ.

◆ **თბილისის** დინამოელებმა ყველაზე მეტჯერ — 10-ჯერ მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები.

◆ **სსრ კავშირის** თასი მოპოვებული აქვს 10 გუნდს: მოსკოვის „სპარტაკს“ — 9-ჯერ, მოსკოვის „ტორპედოს“ — 5-ჯერ, მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკა-ს — 4-4-ჯერ, მოსკოვის „ლოკომოტივს“, დონეცკის „შახტიორს“ — 2-2-ჯერ, ლენინგრადის „ზენიტს“, ლვოვის „კარპატის“ და ერევნის „არარატს“ — თითოჯერ.

◆ **მოსკოვი** 24-ჯერ იყო თასის მფლობელი, კიევი — 3-ჯერ, დონეცკი — 2-ჯერ, ლენინგრადი, ლვოვი და ერევანი — თითოჯერ. თბილისს ეს საპატიო ჯილდო არც ერთხელ არ მოუგია, თუმცა დინამოელებმა 5-ჯერ ითამაშეს ფინალში.

თ. ყალიჩავა.

ქვემო ქვალონი,
ხობის რაიონი.

როსტოვის არმიელებთან, ცსკა-სთან

◆ **თბილისის** „დინამოს“ მეორე წრის მატჩი როსტოვის არმიელებთან 30-ე იყო ამ გუნდების შეხვედრათა ისტორიაში და თბილისელებმა მე-20 მოგება ჩაიწერეს.

◆ **თბილისის** დინამოელთა მიერ მეორე წრეში ცსკა-ს კარში გატანილი მე-3 გოლი რიგით 1560-ე გამოდგა ჩემპიონატების ისტორიაში, ხოლო თვით მატჩი — 915-ე უმაღლეს ლიგაში.

ვ. ადამია.

ცხაკაია.

ტირაჟების შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 34-ე და „სპორტლოტო-2“-ის მე-6 ტირაჟებისა, რომლებიც 10 დეკემბერს მოეწყო უსტ-კამენოგორსკში.

„სპორტლოტო“. 6 ნომრის გამოცნობა ვერავინ შეძლო. ხუთი სახეობის გამოცნობისთვის მოგება 2139 მანეთია (226 ბილეთი), ოთხისთვის — 50 (10893), ხოლო სამისთვის — 3-3 მანეთი (186289).

„სპორტლოტო-2“. ექვსი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2094 მანეთია (20 ბილეთი), ოთხისთვის — 39 (1095), ხოლო „სამიანების“ მფლობელებს ერგებათ 3-3 მანეთი (20199).

ზემოაღნიშნული ტირაჟების მოგებათა გაცემა ცენტრალური შემნახველი სალაროების მიერ იწარმოებს 1973 წლის 21 დეკემბრიდან 1974 წლის 20 იანვრამდე (ჩათვლით).

შემდეგი ტირაჟები 20 დეკემბერს მოეწყობა ვორონეჟში.

ბარსელონაში მთელი ოჯახით

სულ უფრო მეტად იზიდავს ესპანეთი მთელი სამყაროს ფეხბურთის ვარსკვლავებს: ესპანეთი ხომ უმდიდრესი პროფესიული კლუბებისა და უგულუხვესი მეცენატების ქვეყანაა!

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და ეროვნული ნაკრების იმედი გიუნტერ ნეცერი მადრიდში გადაბარგდა და დამკვიდრდა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ შემდეგ ბარსელონაში ერთმანეთს შეხვდებოდნენ ორი სახელოვანი მოთამაშე — ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი და პერუელი ჰუგო სოტილი. ეს უკანასკნელი ჩაფრინდა ლიმიდან (თამაშობდა კლუბ „მუნიციპალში“) მთელი ოჯახით — მეუღლით, ორი ბავშვით და დით.

სურათზე თქვენ ხედავთ სოტილის ოჯახის წევრებს (აქვეა იოჰან კრუიფი). უკანა პლანზე — ჰუგო სოტილი.

მიხაკები სტუმრებსა და მასპინძლებს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინწინ საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა XXXIII ჩემპიონატის ფინალი. ჭადრაკის მოყვარულებით სავსე დარბაზი ტაშით შეხვდა სცენაზე გამოსულ მოჭადრაკე ქალებს.

საღამო გახსნა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. შარაშიძემ.

სიტყვას ამბობს ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი ტატიანა კრიუკოვა (კიევი). მან თქვა, რომ პირველ სამ ადგილზე გასული მოჭადრაკეები გაისად ჩემპიონატში პერსონალურად იქნებიან მიწვეული, IV-X ადგილებზე გამოსულნი კი ასევე პერსონალურად — ნახევარფინალში. ოსტატობის კანდიდატებს, რომლებიც პირველ შვიდეულში მოხვდებიან, ოსტატის წოდება მიენიჭებათ.

როცა სცენაზე გამოჩნდნენ პიონერები მიხაკებით და თბილისის ხედების ალბომებით ხელში (თითოეულ ალბომში მონაწილის ნომერი იდო), მთავარმა მსაჯმა მოჭადრაკეები წილისყრაზე მიიწვია.

სატურნირო ცხრილი ასე შეივსო:

1. ოსტატობის კანდიდატი ლ. მულენკო (ზაპოროჟიე), 2. საერთაშორისო ოსტატი ვ. ბორისენკო (ტაშკენტი), 3. სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი მ. შული (ლვოვი), 4. მსოფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი), 5. ოსტატობის კანდიდატი ე. სტრელნიკოვა (კუიბიშევი), 6. საერთაშორისო ოსტატი კ. ზვორიკინა (მინსკი), 7. საერთაშორისო ოსტატი ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი), 8. ოსტატი ლ. ლიუბარსკაია (დონის როსტოვი), 9. ოსტატობის კანდიდატი ნ. ალიოხინა (ვორონეჟი), 10. საერთაშორისო ოსტატი ა. კისლოვა (ომსკი), 11. ოსტატი ლ. სემიონოვა (კიევი), 12. საერთაშორისო ოსტატი ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), 13. ოსტატობის კანდიდატი ტ. მოროზოვა (ლვოვი), 14. ოსტატობის კანდიდატი მ. ჩიბურდანიძე (თბილისი), 15. ოსტატი ვ. სტერნინა (მოსკოვი), 16. ოსტატი ო. პედკო (სოჭი), 17. ოსტატობის კანდიდატი ა. გრინფელდი (კალინინგრადი), 18. საერთაშორისო ოსტატი ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი), 19. ოსტატობის კანდიდატი ტ. ფომინა (ტალინი), 20. ოსტატობის კანდიდატი ი. მატვეევა (ალმა-ათა).

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის სახელით სიტყვა წარმოთქვა პრეზიდიუმის მსაჯთა კომისიის თავმჯდომარემ, ჩემპიონატის მთავარი მსაჯის მოადგილემ, საერთაშორისო არბიტრმა, ოსტატმა ბ. ბარანოვმა (მოსკოვი).

დასასრულს პიონერულმა ანსამბლმა „მზიურმა“ შესანიშნავი კონცერტი გამართა. ნორჩ მუსიკოსთა ხელოვნებით აღფრთოვანებული მოჭადრაკეების სახელით როსტოველმა ოსტატმა ლ. ლიუბარსკაიამ მზიურელებს მიხაკების თაიგული გადასცა.

თ. ნინოშვილი.

თამაშობდა 36 მოჭადრაკე

უმაღლესი სპორტული ოსტატობის მე-3 რესპუბლიკურმა სკოლამ (დირექტორი კ. გონაძე) ამას წინათ ბათუმში სკოლის პირად-გუნდური საჭადრაკო პირველობა გამართა. ტურნირში ჩაება თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, გორისა და ცხაკაიას 12 გუნდი. თითოეულ კოლექტივში 2 ვაჟი და 1 ქალი იყო.

თავიდან ლიდერობა ხელთ იგდო თბილისის III გუნდმა (ოსტატობის კანდიდატები მ. ჭიპაშვილი, დ. ექვთიმიშვილი, პირველთანრიგოსანი დ. ქობალია), რომელმაც საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც — 26,5 ქულა. მეორე იყო თბილისის II გუნდი (პირველთანრიგოსნები მ. მელიტიანი, თ. ნოზაძე, ლ. გელიაშვილი)—24,5. III-IV ადგილები გაიყვეს ბათუმისა და ცხაკაიას კოლექტივებმა — 21,5-21,5. III ადგილი აჭარის დედაქალაქის მოჭადრაკეებს (ოსტატობის კანდიდატები ლ. ნეურონოვი, მ. მელქონიანი, პირველთანრიგოსანი დ. სირაძე) მიეკუთვნათ პირად ჩათვლაში უკეთესი მაჩვენებლების გამო.

პირად ჩათვლაში I დაფაზე საუკეთესონი იყვნენ: ნეურონოვი — 9,5 ქულა, ჭიპაშვილი — 8,5, ოსტატობის კანდიდატი თ. ჭახრაკია (სოხუმი) — 8; II დაფაზე — ექვთიმიშვილი — 9,5, გ. მისაბიშვილი (სოხუმი), ბ. სავიცკი (თბილისი) — 8,5-8,5; III დაფაზე — გელიაშვილი — 9, ქობალია — 8,5, ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია), ნ. იოსელიანი, მ. კალანდაძე (ორივე — თბილისი) — 8-8.

პირველობამ ცხადყო, რომ სკოლაში სწავლობენ პერსპექტიული ახალგაზრდები. ნორჩმა ქუთაისელმა მოჭადრაკეებმა გ. კალანდარიშვილმა (მწვრთნელი ა. რაზოვსკი) და მ. ჭირაქაძემ (მწვრთნელი გ. ქანთარია) პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულეს.

შეჯიბრება კარგად იყო მოწყობილი. ყველა გამარჯვებული დაჯილდოვდა სიგელებით, საჩუქრებით.

პირველობის საზეიმო დახურვაზე საგანგებოდ აღინიშნა მწვრთნელების: თ. ალხანიშვილის (თბილისი), გ. ჭანტურიას (ბათუმი), მ. ქურდოვანიძისა (ცხაკაია) და რ. კაკიაშვილის (სოხუმი) ნაყოფიერი მუშაობა.

დასასრულს გთავაზობთ მ. იოსებაშვილთან (გორი) 12 წლის პირველთანრიგოსან ნ. ჩხაბერიძის (ქუთაისი) პარტიის ეფექტურ ფინალს.



ამ პოზიციაში ნორჩმა მოჭადრაკემ განაგრძო: 16. მf7+ მფh7 17. მb:d6 კd7 18. მ:e4 მf5 19. მf6+ მფg7 20. მ:d7 მ:h4 21. კh6+ მფh7 22. მf6×.

რ. თავართქილაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

მსოფლიო ფეხბურთის ამბები

ბილეთები გაიყიდა

როგორც პრაღის ჟურნალი „გოლი“ იუწყება, კარგა ხანია გაიყიდა ყველა ბილეთი მსოფლიო ჩემპიონატის იმ მატჩებზე, სადაც პირველი 4 ადგილის ბედი უნდა გადაწყდეს. ორგანიზატორებს უცხოეთიდან იმდენი მოთხოვნა ჰქონდათ, რომ მათი დიდი უმეტესობის დაკმაყოფილება ვერაფრით მოხერხდა.

დაკვეთების ძირითადი ნაწილი მოვიდა ბრაზილიიდან, ინგლისიდან, შოტლანდიიდან და ეს მაშინ, როცა ინგლისელები საერთოდ ვერ მოხვდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.

მხოლოდ 10

ავსტრალიის ეროვნული ნაკრები, რომელმაც მსოფლიო პირველობის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, 21 კაცისგან შედგება. ამ 21 მოთამაშიდან მხოლოდ 10 დაიბადა ავსტრალიაში, დანარჩენები იმიგრანტები არიან.

აკრძალვა გაუქმებულია

შვეციის გუნდებში უცხოელი ფეხბურთელების თამაში აკრძალული იყო, ახლა კი ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა დაუშვას ყველა გუნდში 2-2 უცხოელი 1974 წლის 1 იანვრიდან, ოღონდ ერთი პირობით: მანამდე ამ უცხოელმა, სულ ცოტა, ერთ წელს მაინც უნდა იცხოვროს შვეციაში.

„დაურეკეთ მენჰენგლადბახის „ბორუსიას“

ამას წინათ მიუნხენში საინტერესო ამბავი მოხდა. ანონიმურმა პიროვნებამ „ბაიერნის“ მწვრთნელს დაურეკა: „მე ჟაირზინიოს დავალებით გელაპარაკებით. მას ბრაზილიიდან თქვენს გუნდში სურს გადმოსვლა“. „რამდენს თხოულობს ჟაირზინიო?“. „ორ მილიონ მარკას“. „ჩვენ ამდენი ფული არა გვაქვს, დაურეკეთ მენჰენგლადბახის „ბორუსიას“ (მიუნხენელთა მთავარი მეტოქე ბუნდესლიგაში. — რედ.).

ორიოდე დღის შემდეგ საუბარი განახლდა. „ისევ ჟაირზინიოს დავალებით გირეკავთ. იგი მილიონნახევარ მარკაზეც თანახმაა“. „ჩვენ ამდენი ფული არა გვაქვს. „ბორუსიამ“ გადაიხადოს...“

„მეფის“ აღსასრული?

ამას წინათ „მარაკანას“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ „ფლამენგო“ და „სანტოსი“. პელეს სახელის გამოცხადებაზე ტრიბუნებზე მქუხარე ტაში გაისმა, თუმცა თვით „მეფემ“ მაყურებლებს ვერაფერი აჩვენა ორიოდე უმნიშვნელო ილეთის გარდა: ჭაბუკი მცველი ლიმინია იოლად გაუმკლავდა მას.

„გაისად საერთოდ დავანებებ თავს თამაშს“, — უთხრა ჟურნალისტებს პელემ, რომელსაც, ცხადია, არ გამოეპარა ტრიბუნების რეაქცია.

ობიექტივში მსოფლიო

ფეხბურთელი 33-ე ნომრით!

ფეხბურთელი 33-ე ნომრით, გრძელი თმით, წვერულვაშით... ეს ხომ ჯორჯ ბესტია! ფეხბურთელმა, რომელიც ამ ბოლო ხანს პირდაპირ „გადადიოდა“ ერთი სასკანდალო ამბიდან მეორეში, ფეხბურთსაც კი მიანება თავი და თავისი უცნაური საქციელით და „აფორიზმებით“ საშოვარს აძლევდა სენსაციის მოყვარულ ჟურნალისტებს.

საბოლოოდ ბესტი კვლავ დაუბრუნდა მწვანე მინდორს. მან ისევ ჩაიცვა ფორმა „მანჩესტერ იუნაიტედისა“, რომელშიც ნათამაშევი ჰქონდა თავისი საუკეთესო მატჩები. მაგრამ უკანასკნელი თვეების „საამური ცხოვრება“ მის სპორტულ ფორმას არ მოუხდა, წონაში საკმაოდ მოიმატა და... პირველ ხანებში სათადარიგო შემადგენლობაში მოუხდა თამაში.

ტყვია პელესთვის?

... ამ რამდენიმე დღის უკან ვიღაცამ იმ სახლის ფანჯარას ესროლა ტყვია, სადაც სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი პელე ცხოვრობს. თავად პელეს მიაჩნია, რომ ეს უცაბედი ტყვია იყო, მაგრამ ქალაქ სანტოსის პოლიციელები ნაკლებად ოპტიმისტურად არიან განწყობილი. მათ უკვე მეორე გაუხსნელი საქმე გაუჩნდათ, სადაც მსხვერპლის „როლში“ პელე გამოდის: მისი სახლის ეზოში უკვე იყო ნასროლი ბომბი.

საბედნიეროდ, ორივეჯერ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. არც ერთ შემთხვევას არა თუ ადამიანის მსხვერპლი, არამედ მატერიალური ზარალიც კი არ გამოუწვევია. ფანჯარაში ნასროლმა ტყვიამ შუშაც კი... ვერ გატეხა: პელეს სახლში მინები ტყვიაგაუმტარია.

სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ ამ სახლზე დაწვრილებით მოუთხრო თავის მკითხველებს ბრაზილიის გაზეთმა „ჟორნალ დი დებატისმა“. გაზეთი წერდა, რომ პელე თავისი ნიჭის თაყვანისმცემლებს დაემალა სახლში, რომელიც ციხე-სიმაგრეს უფრო მგავს, ვიდრე ჩვეულებრივ საცხოვრებელ შენობას. მის გარშემო მდებარე მიწის დიდი ფართობი სამი მხრიდანაა შემოღობილი. მეორე მხარე ოკეანეზე გადის. სახლის პატრონის მფლობელობაშია პლიაჟი, აუზი, საჩოგბურთო კორტი და ფეხბურთის მომცრო მინდორიც კი. ლობეს აქვს სიგნალიზაციის სისტემა. სახლის გარშემო მთელს ფართობს სატელევიზიო დანადგარებით ათვალიერებენ. როგორც „ჟორნალ დი დებატისი“ ხაზგასმით აღნიშნავდა, ბრაზილიის ყოველ ბანკს როდი შეუძლია დაცვის აგრერიგად სრულყოფილი სისტემით დაიკვეხოს.

ეს ციხე-სიმაგრე პელემ, ცხადია, ფეხბურთის შემოსავლით როდი აიშენა. აქ დახარჯულია ფული, რომელსაც სპორტულ საქმიანობასთან არაფერი აქვს საერთო. პელემ უყოყმანოდ მიჰყიდა თავისი სახელი სხვადასხვა ფირმას: სიტყვა „პელე“ შეგიძლიათ ნახოთ ყავის ქილებზეც, ჯიბის ნათურის ბატარეებზეც, მამაკაცის ტანსაცმლის საგნებზეც, ველოსიპედებზეც, ფერად ტელევიზორებზეც და ბევრ სხვა საგანზე. პელემ თავისი მოგებების საანგარიშოდ კონტორაც კი გახსნა და გამრიგებლად ვექილიც დაიქირავა.

მას შემდეგ, რაც პელე საქმოსნად გადაიქცა, მისი პოპულარობა ბრაზილიელთა შორის შეუნელებლად ეცემა, ზოგიერთისთვის კი იგი უბრალოდ ანტიპათიური გახდა. მის სახელზე ყოველდღე ბევრი წერილი მოდის და მათ შორის ცოტა როდია ისეთი, რომელშიც პირდაპირი მუქარაა. გამორიცხული არ გახლავთ, რომ ამ მუქარის შესრულებას ცდილობდნენ, როცა მის ეზოში ბომბი ისროლეს და ფანჯარაში — ტყვია...

ბ. შჩერბაკოვი.
(სადღის კორ.).
რიო-დე-ჟანეირო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02840